საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

სპორტული ინვენტარისა და ტექნიკური აღჭურვილობის პროექტული შესყიდვებისა და განაწილების დებულება

პრეზენტაცია და სტრატეგიული მიმოხილვა (2027+)

მომზადებულია გენერალური მდივნის მიერ | გამგეობისა და პრეზიდენტისთვის

1. ძირითადი პრინციპი და ახალი რეგულაცია

დებულების მუხლი 1 — ფრაგმენტული შესყიდვებიდან პროექტულ მართვაზე გადასვლა

1.1. პროექტული მიდგომა (2027 წლიდან)

უქმნება ინდივიდუალური და მოუწესრიგებელი შესყიდვების პრაქტიკა. ნებისმიერი რესურსის შესყიდვა და განაწილება ხორციელდება **ექსკლუზიურად პროექტული მიდგომით**, ფედერაციის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა (12 მიზანი) და წლიური ბიუჯეტის ფარგლებში.

1.2. დაგეგმვისა და დამტკიცების წესი

ყოველი წლის დასაწყისში პროექტის მენეჯერები/ მთავარი მწვრთნელი წარადგენენ წერილობით დასაბუთებასა და ბიუჯეტს. განაცხადს ამოწმებს და ამტკიცებს პრეზიდენტი / გამგეობა.

1.3. ტენდერებში მონაწილეობის მკაცრი შეზღუდვა

ფედერაცია **არ იღებს მონაწილეობას** სახელმწიფო თუ კერძო ტენდერებში მესამე პირების (რაიონული, ადგილობრივი, კერძო კლუბების) ინტერესებიდან გამომდინარე.

შესყიდვები ემსახურება მხოლოდ ფედერაციის წესდებითა და 7-წლიანი სტრატეგიით განსაზღვრულ ეროვნულ ამოცანებს.

2. სტრატეგიული საპროექტო მიმართულებები

დებულების მუხლი 2 — შესყიდვების 6 ძირითადი საპროექტო მიმართულება

პროექტის დასახელება	ძირითადი აღჭურვილობა და ინვენტარი	პასუხისმგებელი / მიზანი
1. საშეჯიბრო ინფრასტრუქტურა	LED ტაბლოები (Ianseo), Target Scoring & Timing სისტემები, სერტიფიცირებული ქრონომეტრაჟი, სამიზნე ფარები და ბადეები	საშეჯიბრო კომიტეტი **WA სტანდარტები**
2. კლუბური სპორტის მხარდაჭერა	A, B, C კატეგორიის კლუბების რანგირებული უზრუნველყოფა (პროფესიონალური, სასწავლო და საბაზო მშვილდ-ისრები)	კლუბების კომიტეტი **მასობრიობის გაზრდა**
3. მაღალი მიღწევების სპორტი	Olympic Recurve & Compound მშვილდები, კალიბრირებული კარბონის ისრები, ოპტიკა, სტაბილიზატორები	მთავარი მწვრთნელი **ეროვნული ნაკრები**
4. ახალგაზრდა ტალანტები	ანატომიურად მორგებადი, ცვლადი პარამეტრების მქონე სპეციალიზებული ინვენტარი მოზარდთათვის	სელექციის ჯგუფი **სამეცნიერო სელექცია**
5. ტექნოლოგიური მონიტორინგი	Dartfish/Kinovea ვიდეო-ანალიტიკა, ისრის რადარები/ლაზერები, ციფრული დინამომეტრები	სამეცნიერო ჯგუფი **ბიომექანიკა & ანალიზი**
6. ინსტიტუციური რისკები	მესამე მხარის შესყიდვებისგან დისტანცირება, ფინანსური მონიტორინგი და სამართლებრივი უსაფრთხოება	გენერალური მდივანი **Good Governance**

3. რისკების კომპლექსური ანალიზი

განმარტებითი ბარათი — რატომ ვამბობთ უარს მესამე პირთა ტენდერებში ჩართულობაზე

სამართლებრივი რისკები

- **სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა:** ვალდებულება ეკისრება ფედერაციას და არა კლუბს.
- **ზიანის ანაზღაურება:** მოწოდების დარღვევისას ჯარიმა ფედერაციას აწვება.
- **საგადასახადო რისკები:** დღგ/მოგების გადასახადის დამატებითი ვალდებულებები.
- **სტატუსის საფრთხე:** ააიპ-ის არაკომერციული სტატუსის ეჭვქვეშ დაყენება.

ფინანსური რისკები

- **საბანკო გარანტიები:** საბრუნავი სახსრების დროებითი გაყინვა/დაბლოკვა.
- **ანგარიშსწორება:** კლუბების მხრიდან თანხების დაგვიანების/გადაუხდელობის საფრთხე.

რეპუტაციული რისკები

- **ნდობის ინდექსი:** შეფერხებისას ილახება ფედერაციის, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯი.
- **მიუკერძოებლობა:** ბრალდებები ცალკეული კლუბების პრივილეგირებაზე.
- **დომინოს ეფექტი:** სხვა კლუბების მხრიდან აუნაზღაურებელი მოთხოვნების ნაკადი.

მმართველობითი რისკები

- **რესურსების დივერსია:** ყურადღების გადატანა მთავარი სტრატეგიიდან.
- **ინტერესთა კონფლიქტი:** ფედერაცია ვერ იქნება ერთდროულად მარეგულირებელიც და კლუბის სავაჭრო აგენტიც.

4. დასკვნა და რეკომენდაციები

ინსტიტუციური მდგრადობა და ჯანსაღი თანამშრომლობა კლუბებთან

სტრატეგიული მოდელის უპირატესობები

- **სრულყოფილი ფინანსური და სამართლებრივი უსაფრთხოება:** ფედერაცია დაცულია მესამე პირთა სავაჭრო/სატენდერო დავებისა და ჯარიმებისგან.
- **გამჭვირვალე პროექტული დაფინანსება:** რესურსები ნაწილდება მხოლოდ დამტკიცებული 7-წლიანი სტრატეგიისა და წლიური ბიუჯეტის მიხედვით.
- **კლუბების ინსტიტუციური განვითარება:** კლუბები ეტაპობრივად ეჩვევიან ავტონომიურ მართვას, ხოლო ფედერაცია მათ ეხმარება რანგირებული (A, B, C) საპროექტო მხარდაჭერით.

გთხოვთ დაამტკიცოთ წარმოდგენილი დებულება და განმარტებითი ბარათი